ხელშეკრულება №45

(CPV კოდი:79700000)

ქ. ზუგდიდი ,, 31 “ დეკემბერი 2019 წ.

ერთი მხრივ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს (შემდგომში „დამკვეთად“ წოდებული), დირექტორის **გოჩა ჩიქოვანის** სახით და მეორეს მხრივ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს **საჯარო სამართლის იურიდიული პირი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო – ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო** (შემდგომში „შემსრულებლად“ წოდებული), უფროსის **კოტე მიქაიას** სახით, სახელმწიფო შეყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 30 დეკემბრის N 5370 განკარგულების თანახმად (SMP 190005155) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „დაცვა“ განახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებული მშენებარე საფეხბურთო სტადიონი მატერიალური ფასეულობებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას (შემდგომში „ობიექტად” წოდებული), რომელიც მდებარეობს მისამართზე ზუგდიდი ჯანაშიას ქ. N 15-ში;
1.2 .შესყიდვების კატერგორია -გამოძახებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები
1.3 „გადამხდელი“ იღებს ვალდებულებას „შემსრულებელს” გადაუხადოს დაცვის მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე–6 მუხლის მოთხოვნათა მიხედვით:
1.4 შესყიდვის ობიექტის კლასიპიკატორის (CPV კოდი: 797 00000- გამოძიებასა და უსაფრთხოებასთა დაკავშირებული მომსახურებები; 79713000-დაცვის მომსახურება)

მუხლი 2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 „დაცვა“ ვალდებულია

2.2 უზრუნველყოს „დამკვეთის“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვმდებარებაში მყოფი მშენებარე საფეხბურთო სტადიონი მატერიალური ფასეულობებისა და მის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
2.3 არ გაამჟღავნოს „დამკვეთის“ სამსახურებრივი საიდუმლოება;
2.4 „პოლიციის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები;
2.5 „ობიექტის“ დაცვა განახორციელოს ცეცხლსასროლი იარაღით ან ცეცხლსასროლი იარაღის გარეშე.
2.6 განახორციელოს ყველა კანონიერი ქმედება დასაცავ ობიექტზე საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველსაყოფად.
2.7 დაუყოვნებლივ აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს ქურდობის, შეიარაღებული ძარცვის ან ყაჩაღობის შემთხვევის შესახებ და მათ მოსვლამდე უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის ხელშეუხებლობა.
2.8 ობიექტზე ხანძრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სახანძრო სამსახურს და დამკვეთს.
2.9 შეასრულოს ხელშეკრულებაში მითითებული მოთხოვნები და დამატებითი მითითებები ან დამკვეთის წერილობითი მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია დაცვის საქმიანობასთან და ხელს არ უშლის დაცვის მიერ თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებას.
2.10 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვმდებარებაში მყოფი მშენებარე საფეხბურთო სტადიონის განთავსებული მატერიალური ფასეულობის დაკეტვის შემდგომ, გააკონტროლოს ობიექტზე გარე პირებისა შემოსვლა.
2.11 უზრუნველყოს „ობიექტზე“ სასაშვო რეჟიმის დაცვა ასეთის არსებობის შემთხვევაში.
2.12 „დამკვეთის“ მიერ წარმოდგენილი, მის საკუთრებაში არსებული ობიექტების ხელმძღვანელები (პასუხისმგებელნი პირნი) ვალდებულია „ობიექტი“ „დაცვა“–ს ჩააბაროს და დაცვიდან მიიღოს დაკეტილ მდგომარეობაში მიღება–ჩაბარების ჟურნალში ხელმოწერით.
2.13 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვმდებარებაში მყოფი მშენებარე საფეხბურთო სტადიონის თანამშრომელთა მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიცვას მათი ინტერესები კანონის ფარგლებში.
2.14 დაცვა მატერიალურ პასუხისმგებლობას კისრულობს დაცვისათვის ამ ხელშეკრულებით დაკისრებული და

კანონმდებლობით გათვალისწინებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შედეგად გადამხდელისათვის მიყენებულ ზარალზე;

2.15 ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება მხარეთა მონაწილეობით (კომისია), ასევე საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტების, ექსპერტების და საგამოძიებო ორგანოების მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით ან დასკვნით, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს „დამკვეთის“ საბუღალტრო დოკუმენტაციაში აღრიცხული მატერიალური ფასეულობებიდან;
2.16 „დამკვეთისათვის“ ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას „დაცვა“ მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის, აღსრულების ფურცლის ან კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, 30 დღის განმავლობაში;

მუხლი 3. დაცვა პასუხისმგებლობას არ კისრულობს:

3.1.“დამკვეთმა“ არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, პირველადი და შემდგომი მოკვლევის აქტის მოთხოვნები;
3.2. თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დატოვებული იქნა დასაცავ „ობიექტში“;
3.3. მატერიალურ ფასეულობათა ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია „დამკვეთის“ მიერ ობიექტის დაცვისათვის ჩაუბარებლობის მიზეზით;
3.4. „დამკვეთის“ მიერ წარმოდგენილი, მის საკუთრებაში არსებული ობიექტების ხელმძღვანელები (პასუხისმგებელნი პირნი) ვალდებულია: მოკვლევის აქტში მითითებული ობიექტები არასამუშაო საათებში ჩააბაროს „დაცვას“ დაკეტილ მდგომარეობაში მიღება–ჩაბარების ჟურნალში ხელმოწერით;
3.5. განახორციელოს პირველადი და შემდგომი მოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და იზრუნოს „დაცვასთან“ ერთად ობიექტის დაცვის სრულყოფისათვის;
3.6. „ობიექტის“ მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში არ შევიდეს მასში „დაცვის“ თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალური ფასეულობათა აღწერა;
3.7. შეუქმნას „დაცვას“ დაცვის განხორციელებისათვის აუცილებელი პარობები;
3.8. „დაცვას“ 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს „ობიექტზე“ მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას (ობიექტის დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება, სამშენებლო სამუშაოების წარმოება და ა.შ.);
3.9. „დაცვის“ თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს „დაცვას“;
3.10. „დამკვეთს“ ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც განსაზღვრული არ არის მოკვლევის აქტით;

4.1. „დამკვეთი“ ვალდებულია

4.1.1. განახორციელოს პირველადი და შემდგომი მოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და იზრუნოს „დაცვასთან“ ერთად ობიექტის დაცვის სრულყოფისათვის;
4.1.2. „ობიექტის“ მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში არ შევიდეს მასში „დაცვის“ თანამშრომლის გარეშე და არ დაიწყოს მატერიალური ფასეულობათა აღწერა;
4.1.3. შეუქმნას „დაცვას“ დაცვის განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები;
4.1.4. „დაცვა“ 15 დღით ადრე აცნობოს და მასთან ერთად შეთანხმებით გადაწყვიტოს„ობიექტზე“ მოსალოდნელი ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება დაცვის უსაფრთხოებას (ობიექტის დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმისცვლილება, სამშენებლო სამუშაოების წარმოება და ასე შემდეგ);
4.1.5. „დაცვის“ თანამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს დაცვას;
4.1.6. „დამკვეთს“ ეკრძალება დამატებით ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დაავალოსდაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა რომლებიც განსაზღვრული არ არის მოკვლევის აქტით;

5. ფორს–მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს–მაჟორული შემთხვევის დროს, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებული მოვალეობების შესრულება;

მუხლი 6. დაცვის სახეობა, საგუშაგოთა განლაგება, საშტატო ერთეულები და დაცვის მომსახრეობის ღირებულება

6.1 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვმდებარებაში მყოფი მშენებარე საფეხბურთო სტადიონის (ობიექტზე) განთავსებული მატერიალური ფასეულობებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას განახორციელებს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონელური დაცვის პოლიციის სამმართველოს ზუგდიდის დაცვის პოლიციის განყოფილება 5 (ხუთი) უმცროსი ინსპექტორის საშტატო ერთეულით სამცვლიანი სამუშაო გრაფიკით, ცვლაში 2 უმცროსი ინსპექტორი 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით.
6.2. ობიექტზე ცოცხალი ძალის გადანაწილება, ასევე საგუშაგოთა რაოდენობის და ადგილმდებარეობების განსაღვრა, ხორციელდება ობიექტის პირველადი და შემდგომი მოკვლევის აქტებით, რომლებიც ამ ხელშეკრულების დანართებს წარმოადგენს;
6.3. „დაცვის“ მომსახურეობის ყოველთვიური ჯამური ღირებულება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, თვეში შეადგენს 3850 (სამიათასრვაასოროცდაათ) ლარს დ.ღ.გ-ს ჩათვლით; ერთ უმცროს ინსპექტორზე შეადგენს 770 (შვიდასსამოცდაათ) ლარს დ.ღ.გ-ს ჩათვლით; ხელშეკრულების საერთო ღირებულება წელიწადში შეადგენს - 46.200 (ორმოცდაექვსიათასორას) ლარს დ.ღ.გ-ს ჩათვლით.
6.4. ანგარიშსწორება მხარეთა შორის მოხდება ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან მეორე თვის ათ რიცხვამდე;

მუხლი 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მოქმედების ვადა 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულებაში ვადის გაგრძელება და ცვლილებები შეტანილი იქნება „დამკვეთის“ და „დაცვი“–ს მხრიდან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, სიტყვიერ შეთანხმებას იურიდიული ძალა არ ექნება;
8.2.ხელშეკრულების გაუქმება ვადაზე ადრე შეიძლება მოხდეს მხარეთა შეთანხმებით, ასევე რომელიმე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარის წერილობით შეტყობინების საფუძველზე, ორი კვირის გასვლის შემდეგ, შესაბამისი დარღვევის მითითებით;
8.3. ორი თვის დაცვის მომსახურეობის თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში დამკვეთს დაეკისრება პირგასამტეხელოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2 % ოდენობით.
8.4. სამი თვის დაცვის მომსახურეობის გადაუხდელობის შემთხვევაში დაცვა უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და თანხის ამოღების მიზნით მიმართოს სასამართლოს.
8.5.ხელშეკრულება შედგენილია ხუთი პირად, რომლის ერთი პირი ინახება „დამკვეთთან“, ხოლო ოთხი „დაცვაში“;

მხარეთა იურიდიული მისამართები და ანგარიშის ნომრები

,,შემსრულებელი”	„დ ა მ კ ვ ე თ ი“
შსს სსიპ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური დაცვის პოლიციის სამმართველო, ს/კ N 211350928, ქ. ფოთი, მშვიდობის ქ. N 6. მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკისკოდი:TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი N 707117041 **რეგიონალური დაცვის პოლიციის** **სამმართველოს უფროსი: /კ.მიქაია/** Kote Mikaia Digitally signed by Kote Mikaia DN: cn=Kote Mikaia, serialNumber=62009002463, o=Citizen, c=GE Date: 2019.12.31 16:43:47 +04'00'	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ ს/კ 420427005; ზუგდიდი, რუსთაველის N 79. ტელ: 591 81 00 01. **დირექტორი: /გ. ჩიქოვანი/** Center for Sport Facility Management of Zugdidi Municipality Digitally signed by Center for Sport Facility Management of Zugdidi Municipality Date: 2019.12.31 16:27:37 +04'00'